




- სპორტს უველა ასაკი ემონება
- ოღონდავი წაუგებლად ლიდრობენ
- საბჭოთა ფეხბურთელები — კატალონიის დედაქალაქში



ეროვნული
სპორტის ცენტრი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბავოს ორგანო
Л Е Л О Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской
ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 80-20 წელი

№ 118 (2481)

ოთხშაბათი, 17 ივნისი, 1964 წ.

შანი 3 პაპ.

მ. კოსტავაშვილი „ბარბაკანის“ თასი

კრაკოვი, 16 ივნისი. აქ გამართულ დაწინაურებულ მოთხოვნით პირად საერთაშორისო ტურნირში „ბარბაკანის“ თასზე ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია თბილისელმა გურამ კოსტავაშვილმა. ასპარეზობის დასკვნითი ეტაპი გაიმართა ღია ცის ქვეშ, კრაკოვის ძველ ციხე-სიმაგრეში. დასკვნითი ნაწილის I ტურში კოსტავაშვილმა მოუგო შვედ სერენსონს (10:5), შემდეგ კი — თანაგუნდელ ლიუდინსს. ნახევარფინალში კართველმა სპორტსმენმა დაამარცხა სმოლიაკოვი (10:7), ფინალში კი — ხაბაროვი (10:4) და მოიპოვა „ბარბაკანის“ თასი.

ნახოქა პლის ოლიმპიადებს

ოლიმპიური თამაშებზე მრავალი ქვეყნის სპორტსმენები და ტურისტები სსრ კავშირის საბოლოო პუნქტის — ზღვისპირა ქალაქ ნახოქის გაუფიქრებელ ჩველებს. ეს ტრასა საინტერესო, მოხერხებულ და საგარძობადად იაფია სხვებზე. მოსკოვიდან ხაბაროვსკში სპორტსმენები და ტურისტები 8 საათში ჩაფრინდებიან, შემდეგ გადავლიან მატარებელში და ნახოქაში გაემგზავრებიან.

ჩვენი ქალაქის გავლით ტოკიოში ჩავა 10 ათასი ოლიმპიელი. განუცხადა ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტს ნახოქის მერმა ანა ბორისოვამ. ტურისტებსა და სპორტსმენებს მოემსახურებიან ხაოკენო გემები — „გრიგოლ ორჯონიკიძე“, „ვლადიმერსკი“, „ურბიცი“, „ხაბაროვსკი“, „ბაიკალი“ და „თურქმენეთი“. ისინი ივლიან მარსრუტით ნახოქა — ტოკიო. ნახოქის მკვიდრნი მოუთმენლად ელიან ოლიმპიელებთან შეხვედრას.

ახალი ამბების
სააგენტო.

და ივანოვას ჩინებუდი სტარტი

ლონდონში ახალგაზრდა ჩოგბურთელი (არა უმეტეს 21 წლის ასაკისა) ტურნირში წარმატებას მიაღწია 17 წლის თბილისელმა სტუდენტმა ალა ივანოვამ. იგი პირველ ადგილზე გამოვიდა ერთბაშად ორ შეჯიბრებაში — გოგონათა და ქალთა ღია ტურნირებში. ივანოვამ გოგონათა ასპარეზობის ფინალში ინგლისელა ა. სუოდი დაამარცხა (6:3, 6:2), ქალთა შეჯიბრების გადამწყვეტ მატჩში კი ასეთივე ანგარიშით მოუგო ინგლისელ ა. ფრეხერბლეს.

ქაბუჯთა ჩემპიონატში წარმატებას მიაღწია თბილისელის 15 წლის პარტნიორმა, მოსკოველმა მოსწავლემ ვ. კოროტკოვმა, რომელმაც გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა ტაილანდელი ქ. ბაუტასტი (4:6, 6:4, 6:3).

უახლოეს ხანში ა. ივანოვა და ვ. კოროტკოვი თავიანთ უფროს ამხანაგებთან — ა. დმიტრიევასთან, თ. ლიუდინთან, ა. მებრეველთან და ს. ლინჩაჩოვთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ კუინს-კლავის და უიმბლდონის ტურნირებში.

დავისის თასი მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა არაოფიციალურ გუნდური ჩემპიონატია. მაგრამ არც ბობს კედვ ერთი პოპულარული საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც მსოფლიოს არაოფიციალურ პირად პირველობას უწოდებენ. ესაა უიმბლდონის ტურნირი.

ლელო, კავშირში

▲ დღეს იწყება ფეხბურთში ევროპის თასის გათამაშების გადამწყვეტი ეტაპი — ნახევარფინალები. მადრიდში ერთმანეთს ხვდებიან ესპანელი — უნგრეთი, ბარსელონაში — სსრ კავშირი — დანია.

▲ ოფიციალურ ტურნირებში საბჭოთა ფეხბურთელები პირველად ხვდებიან დანიელებს. ამხანაგური შეხვედრები მათ შორის გაიმართა 1956 წლის 23 მაისსა და 1 ივლისს. ორივე მატჩი მოიგო საბჭოთა ნაკრებმა: მოსკოვში — 5:1, კოპენჰაგენში —

5:2. ამ ორივე შეხვედრის მონაწილეები არიან ლ. იაშინი და გ. ივანოვი (სსრ კავშირი) და ი. ჰანსენი (დანია).

▲ დანია ჩვენი გუნდის თავისებურ მუდმივ მოკიშპედ ხდება დიდ საფეხურთო სარბილზე. გარდა დღევანდელი ნახევარფინალური მატჩისა ევროპის თასზე, ეს ორი ნაკრები ერთად მოხვდა მსოფლიოს მომავალი VIII ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში უელსისა და საბერძნეთის გუნდებთან ერთად.

პონატია. მაგრამ არც ბობს კედვ ერთი პოპულარული საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც მსოფლიოს არაოფიციალურ პირად პირველობას უწოდებენ. ესაა უიმბლდონის ტურნირი.

წლევანდელი „უიმბლდონი“ დაიწყება 22 ივნისს და დამთავრდება 4 ივლისს. მასში მონაწილეობას მიიღებს 200-მდე

სპორტსმენი. წელს პირველად ჩატარდება ტურნირი ეტაპისა შორის, რომელშიც 50 წლის ასაკის (და ზევით) ჩოგბურთელები გამოვლენ.

უიმბლდონის ტურნირის დებულებით, თავდაპირველად შერჩევითი შეჯიბრებები გაიმართება და მხოლოდ ამის შემდეგ 10-10 გამარჯვებულა მიიღებს ფინალში მონაწილეობის უფლებას.

სპორტული სააგენტო

◆ **პოსტარდა.** 30. 16 ივნისს გათამაშდა საზონათშორისო საქალაქო ტურნირის XIX ტური. ბილექმა მოუგო პორატს, პორტიშმა — ბენკოს, პერესმა — ბერგერს. ყაიმით დამთავრდა ლარსენ — ტალის, რეშევსკი — ფოგელმანის, ივკოვ — სპასკის, ევანს — პაშმანის, დარგა — ტრინგოს პარტიები. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

XIX ტურის პარტია პორატი — ბერგერი ყაიმით დამთავრდა.

◆ ბერლინი. გერმანის ახალი რეკორდი სიმალდრეზე ხტობაში ქალთა შორის დაამყარა ქ. კუპფერშიდმა — 172 სმ.

◆ **რომი.** 16 ივნისი. იტალიის თასის გათამაშების ნახევარფინალში „ტურნირმა“ ანგარიშით 2:0 დაამარცხა „იუვენუსი“ და გავიდა ფინალში, სადაც შეხვედრა „რომას“.

◆ **შვეიცარია.** 16 ივნისი. მრავალდღიანი გელორბოლის „ტურ შვეიცარიის“ მე-5 ეტაპი ესპანელმა კოლმენარეუმ მოიგო. მეორე ადგილზე გამოსული რ. მაურერი (შვეიცარია) ლიდრობას ინარჩუნებს. იგი იტალიელ ფ. ბალმაიონს 1,58 წუთს უგებს, სოლო ი. ძილიოლის — 4,01 წუთს.

ოთხთა ტურნირი

ბათუმი, 16 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). წყალბურთელთა ოთხთა ტურნირში გაიმართა მორიგი მატჩები. დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის ოლიმპიური და პროფკავშირთა ნაკრები გუნდების მატჩმა. პირველ პერიოდში ჩიქვანაიამ საკმაოდ შორი მანძილიდან გახსნა ანგარიში, რისაც მოყვა ოლიმპიელი რომანოვის 2 ბურთი. შემდეგ სემიონოვმა ანგარიში 4-მდე გაზარდა. მხოლოდ თამაშის უკანასკნელ წამებზე შეძლეს პროფკავშირების წყალბურთელებმა „შპრალი“ ანგარიშისგან თავის დაღწევა (კალაშნიკოვი). შეხვედრა მოიგო ოლიმპიურმა გუნდმა — 4:1. შემდეგ ითამაშეს „დინამომა“ და შეიარაღებული ძალების ნაკრებმა გუნდებმა. მინიმალური ანგარიშით (3:2) გაიმარჯვეს არმილმა სპორტსმენებმა.

„ვისლა“, „გვარდია“, „არკონია“...

კოლონეთის ფეხბურთის ფედერაციისა და სპორტსაზოგადოება „გვარდიის“ მიწვევით ამ ქვეყანაში სამი ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად მიემგზავრებიან თბილისის დინამოელები. მათი მეთაქეები იქნებიან I ლიგის ცნობილი გუნდები — კრაკოვის „ვისლა“, ვარშავის „გვარდია“ და შტეტინის „არკონია“.

„ვისლა“, რომელთანაც დინამოელები 21 ივნისს ითამაშებენ, პოლონეთის ერთ-ერთი უძველესი გუნდია. მის შემადგენლობაში გამოდიან ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველები მონია და კაულა, მაგრამ სწორედ დაცვა ითვლება კრაკოვის გუნდის ყველაზე სუსტ რგოლად. მან 26 თამაშში 45 გოლი გაუშვა, მაშინ, როდესაც თავდასხმამ 29 ბურთი გაიტანა. „ვისლამ“ 21 ქულით სატურნირო ცხრილში მე-13 ადგილი დაიკავა, რაც ამ გამოცდელი გუნდისთვის დიდ მარცხად ითვლება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კრაკოველებს ცალკეული წარმატებებიც ჰქონდათ. მათ ფრედ (3:3) დაამთავრეს მწელი მატჩი პოლონეთის შარშანდელ და ახლანდელ ჩემპიონ „გურნიკ-თან“ (ზაბუე), რომელმაც შემდეგ ძლია ავსტრიის ეროვნულ ნაკრებს — 2:1.

24 ივნისს თბილისელები ვარშავაში შეხვედებიან „გვარდიას“, რომელმაც ჩემპიონატში მე-9 ადგილი დაიკავა 21 ქულით (ბურთები — 35—41). გუნდის შემადგენლობაში არიან ცნობილი ფეხბურთელები — ეროვნული ნაკრების ყოფილი მეთაურ, თბილისელთა ძველი ნაცნობი სტეფანიშინი, მცველი ვოუნიაკი, ნახევარმცველი ლევანდოვსკი.

26 ივნისს დინამოელებს უკანასკნელი შეხვედრა ექნებათ „არკონიასთან“. შტეტინის ეს გუნდი მხოლოდ უკანასკნელ სეზონში გადმოვიდა I ლიგაში, მაგრამ ჩემპიონატი მარცხიანად ჩაატარა. მან 18 ქულით უკანასკნელი, მე-11 ადგილი დაიკავა (ბურთები — 30—46) და ისევ II ლიგას უნდა დაუბრუნდეს. „არკონიას“ შემადგენლობაში, სადაც არ არიან ცნობილი ფეხბურთელები, ყურადღება მიიპყრო ცენტრალურმა თავდამხმელმა გველმა, რომელმაც 11 ბურთი გაიტანა პოლონეთის ჩემპიონატში.



საქართველოს მოსწავლეთა XVI სპარტაკიადა. წყალში მხტობელთა ასპარეზობის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ბ. კამენსკისა.

XVI ტრადიციული...

როცა აღზარდელი აღსაზრდელია

კალათაშთა
ტურნირში პირველი ადგილის ბედი ფაქტობრივად გადაწვდა თბილისისა და ქუთაისის შაბუკთა გუნდების შეხვედრაში. ნორჩი სპორტსმენები გრძნობდნენ შატრის დიდ მნიშვნელობას და შედეგად ნერვოზობაში იყვნენ. ამ შედეგით მდგომარეობიდან თავის დაღწევა უფრო ადრე თბილისელებმა შეძლეს, რომლებმაც პირველი ნახევარი 10 ქულით მოიგეს — 28:18.

შესვენების შემდეგ ქუთაისელებმა მონტაჟის თამაშში გარდატეხის შეტანა, მაგრამ შათ სროლებს სიზუსტე აკლდა, თბილისელები კი პირიქით, კარგად ტყორცნიდნენ საშუალო მანძილებიდან. ამ მხრივ თავი გამოიჩინა ელგუზა შაისურაძემ. მან გაუწვდა 22 ქულა შეტანა.

შესვენების საბოლოო მხარობა 16:39 — თბილისელთა სასარგებლოდ. ევროპათა შორის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის II და III გუნდები. გაიმარჯვა I ნაკრებმა — 40:37.

ასპარეზობა ორგანიზებულია ჩატარდა, მაგრამ მთავარ მსაჯთა კოლეგიის ერთმა უსაფუძვლო გადაწყვეტილებამ შეკრებების მონაწილეთა საშარტოვანი უკმაყოფილება გამოიწვია.

როგორც ცნობილია, ამას წინათ ჩატარდა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადი II გუნდის გუნდებისთვის. დეპუტების თანხმად, ცალკეულ სახეობებში გამარჯვებულ გოგონათა და ვაჟთა ორ-ორ კოლექტივს უფლება ეძლეოდა მონაწილეობა მიეღო II გუნდის გუნდების ასპარეზობაში. ქაბუც კალათბურთელები, ეს უფლება მოიპოვეს რუსთავისა და გორის გუნდებმა.

შემდეგ გამოიკვია, რომ მთავარ მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ამ ორ კოლექტივს ფინალში მონაწილეობის უფლება წაართვის და წინადადება მისცეს ეასპარეზობა თბილისის მეორე გუნდთან სამთა ტურნირში. რუსთავისა და გორის კოლექტივებმა, რომლებმაც ვერ ვიდევნა II გუნდში ითანამშეს ერთმანეთში, ორი შეხვედრით დაამთავრეს სპარტაკიადში მონაწილეობა.

მთავარ მსაჯთა კოლეგიის ეს გადაწყვეტილება დიდ გაკვირებას იწვევს იმიტომ, რომ გოგონათა ასპარეზობა დეპუტების სრული დაცვით ჩატარდა.

... დამთავრდა ქუთაისისა და აჭარის კალათბურთულ გოგონათა მატჩი. შეხვედრის შედეგით უკმაყოფილოა აჭარის გუნდის მწვრთნელი გ.

მინაბლე მსაჯთა მადიდისთან მიიჭრა და უცნაურად სიტყვებით აგაუმსაზრდელოდა მატჩის მსაჯებს. თავიანთი მწვრთნელის უტყუარ საუბარს მსმენდნენ აჭარელი კალათბურთელები. აბა რა უნდა ასწავლოს ასეთმა მწვრთნელმა ნორჩ სპორტსმენებს?
ჩვენთვის ცნობილია გ.

ხდა, რომ გ. მუნაბლე ბათუმის შედეგოვანი ინსტიტუტის მასწავლებელია. ახალგაზრდობის აღმზრდელის ამ გამოხედვას, ჩვენი აზრით, სათანადო შეფასება უნდა მისცენ აჭარის ასპარეზობის მონაწილეობის სპორტკავშირის ხელმძღვანელებმა.



სურათზე: ეს გოგონა თბილისელი გ. კონინეკია. მან ამ დღეებში გააუმჯობესა 50 მტრის (დეალიშვილი) მიერ 14 წლის წინათ დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი 100 მეტრზე რბენაში. მისი შედეგია 12,2 წამი.

სსრკ პარტიის პირველი სახელმწიფო მატარებელი

„კლასი“

მათაშაშაშაშის მსხრილი
11 უზუზუ, 11 მახუზუზი
მდგომარეობა 17 ივნისისთვის

საბ (ოღესა)	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შახტირი“ (ყარაგანდა)	11	8	3	0	16	2
„პარაბანი“ (ლეფი)	12	6	4	3	17	13
„პარაბანი“ (სვერდლოვსკი)	12	6	2	4	18	14
„პარაბანი“ (ვოლოგრაძი)	11	6	1	4	12	9
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	12	5	3	4	18	13
„ლოკომოტივი“ (მთხვოვი)	12	4	4	4	12	9
„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	11	4	4	3	9	6
„პარაბანი“ (ერევანი)	12	3	5	4	8	11
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	13	4	3	6	12	11
„დნეპრი“ (ტალინი)	12	2	5	5	11	9
„ბრეშტი“ (ვორონეჟი)	11	3	3	5	9	12
„სპარტაკი“ (გომელი)	12	2	5	5	6	10
„სპარტაკი“ (ფრუნე)	12	1	4	7	9	24

მეორე ზგუფი

გაიმართა მეორე ტურის მატჩები სსრკ პარტიის პირველი სახელმწიფო მატარებელი „კლასი“ მეორე ზგუფის გუნდებს შორის.

პირველ შეხვედრაში ერთმანეთს ანგარიში: 1:1 ფიქსირებულ იქნა ორ მატჩში: „სპარტაკი“ (ვოლოგრაძი) — „დნეპრი“ (რიგა); „დნეპრი“ (ლენინგრადი) — სკა (ნოვოსიბირსკი). ხარკოვის „ავანგარდმა“ მოუგო „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — 1:0, ხოლო აშხაბადის „სტრუტოვსკი“ — „დნეპრი“ (ზაპოროჟიე) — 2:0. უშედეგოდ დამთავრდა „ჩერნომორეცისა“ (ოღესა) და „სპარტაკი“ (ყარაგანდა) მატჩი — 0:0.

მეორე შეხვედრის შედეგებიდან ყურადღების ცენტრში იყო ოღესის მატჩი, რომელშიც ადგილობრივი ლეგიონის სკა თამაშობდა გრეგნის „აპარტანს“. ლიდერმა დაჯარვა ქულა — 0:0. სხვა შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „შახტირი“ (ყარაგანდა) — „სტრუტი“ (ვოლოგრაძი) 0:0; „პარაბანი“ (ლეფი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 4:1; „დნეპრი“ (ტალინი) — „დნეპრი“ (ფრუნე) 2:2; „სპარტაკი“ (გომელი) — „სპარტაკი“ (სვერდლოვსკი) — 0:1.

გუშინ ზაპოროჟიეში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეტალურგი“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“. მატჩის შედეგია ფრე — 0:0.

დღი ანგარიშით — 7:0 — გაიმარჯვეს „დნეპრი“ დუბლითორებმა.

ისრები ხვდება სამიზნას

ქუთაისში გაიმართა ქალაქის მშვიდობისათვის პირადი პირველობის I ტური. შეჯიბრებაზე თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნეს პედაგოგიური ინსტიტუტის, ლიტონისა და ელექტრომექანიკური ქარხნების, აგრეთვე შე-4 სამკერვალო ფაბრიკის ორგანიზაციებმა. პირველად იყო სროლა 50 და 30 მეტრზე.

ვაჟთა შორის კარგად გამოვიდნენ რესპუბლიკის გასული წლის აბსოლუტური ჩემპიონი ზ. ამბროლაძე, 1962 წლის ჩემპიონი ჯ. არსენიძე; აგრეთვე გ. ხომასურიძე, ე. ბლიაძე, რ. ტაბიძე და ბ. შერაშვი, რომლებმაც მოიპოვეს II ტურში მონაწილეობის უფლება. ქალთა შორის ყველას აჯობებს ლ. ბრეგვაძე.

ქუთაისში, მ. ცხომელიძის, მ. ცხომელიძის, ნ. ლიბრაძის, ნ. ჯანელიძის, გ. სუბატიშვილისა და ნ. მერკულიძის.

ქალაქის სპორტსმენები წარმატებით ემზადებიან მომდევნო ეტაპებისთვის, რის შემდეგ ძალებს ცდიან რესპუბლიკურ პირველობაზე. სამწუხაროდ, მშვიდობისთვის შემდეგ განეთიარებას ძალებს უშლის მაღალხარისხიანი ინტენსიური უკონობა. ის იარაღი, რითაც ჩვენს სპორტსმენებს უხდებათ შეჯიბრებაში გამოსვლა, ვერ აქმაყოფილებს მოთხოვნებს. ეს კი ადვილად პირველთანაბრისათა და ოსტატობა მომზადებასაც.

შ. ჯაფარიანი

სსრკ პარტიის პირველი სახელმწიფო მატარებელი

▲ წელს დანიშნულ არა აქვთ ჩატარებული არც ერთი საერთაშორისო შეხვედრა პირველი ნაკრების დონეზე. ვერობისა და სკანდინავიის ნაკრები გუნდების 20 მისის მატჩში დანიშნულთაგან სკანდინავიის ნაკრებში მოხვდნენ შემდეგი მითამაშებები: მცველები თ. პანსენი და ბ. პანსენი, ნა-

სდის უცხოეთის პროფესიული კლუბებიდან, მავრამ თ. მადსენი არ ტოვებს დანიას. კიდევ მეტიც: იგი მრავალი წელია თამაშობს III ლიგის კლუბ „ჰელსინკი“ და არ აპირებს გადასვლას თავისივე ქვეყნის სხვა რომელიმე უმაღლეს კლუბში. მადსენი დიდი წარმატების მფლობელი კომპანიაში.

▲ ყველაზე მეტი მატჩი დანის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული აქვს 38 წლის ი.

პანსენს — 42. საინტერესოა, რომ იგი შეიღობა წარსულში პოპულარული დანიელი ფეხბურთელის პ. პანსენისა, რომელმაც ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა 130-ჯერ.

▲ სულ დანის ფეხბურთის არსებობის 75 წლის მანძილზე ამ ქვეყნის ნაკრების ჩატარებული აქვს 282 საერთაშორისო მატჩი. დანიელებმა მოიგეს 121 შეხვედრა და ზუსტად ამდენივე წააგეს. 40 მატჩი დამთავრდა ფრედ.

ადამიანები

საპ კიბორჩა კი დადიოდა და აღმზარდებს დღევანდელს. მან იცოდა, რომ აქ მასივში, ცხოვრობდნენ ალექსანდრე რატიანი — ფიქსურტურის ინსტიტუტის თანამშრომელი, ორავლი გორჯაძე — საშუალო სკოლის დირექტორის მასწავლებელი, ელენე პასანოვა — მსორტკლუბ „გამარჯვების“ გამობრძედილი ინსტიტუტორი, გოლდონი ფესურიშვილი — სპორტის ოსტატი თავისუფალ კლავიაში, მისილ კლანდაძე — ფიზკულტურისა და სპორტის გამოცდილი მუშაკი. მან იცოდა, რომ აქვდა ეს აღმზარდები, „პროფესორული ვალდებულების“ კარნახით, ცალ-ცალკე ცდილობდა რაიმეს გაეკეთებინათ თანამშრომლებს მიღამობაში.

მან შეიტყო, რომ აქ, მასივში, ცხოვრობდნენ კიდევ „მოყვარული“ ფიზკულტურული კადრებიც: ინჟინერი ვასტანე კუხალიშვილი — ახმურაფეხბურთელთა ქობაკვი, ნინო ჯამბურაძე — ბუნებრივი სპორტადამრთველი მოღვაწეობისთვის დანიშნული აღმზარდები. 17 წლის მალე ვაჟაშვილი — უსწვერ-საღვრი ფიზკულტურული „პრაქტიკოსი“, გოდერძი ფასურაშვილის შვილები — ფეხბურთის მატრფიკალი გოგი და ფეხბურთით „დადავლებული“ კარლო...

და აგი ვერ კიდევ მასივში გადასვლამდე სკრებდა აქ მაცხოვრებელ ათასობით აღმზარდს, რომლებიც მოწყვნილი თვალებით გასცქეროდნენ დედაქალაქს და მიმოიხედავდნენ უმოძრაობაში უღუნდებოდათ სხეული... ეს იყო 1963 წლის ოქტომბერი.

1964 წლის 14 ივნისს კი, გააკვირდა, აქ ასეთი ამბავი იყო: ორასზე მეტი ადგილობრივი ფიზკულტურელი შეიკრიბა მასივის ნაპირას, ტყესთან, ნაირფეროვანი დროშების ფრიალით დაიძრნენ კოლონები ასფალტის ქუჩებით, რომელთა ნაპირებზე ჩამყვრილებული ახალ-ახალი სახლების აივნებზე ზღვა ხალხი გამოუფინა გაბრწყინებული და სანთით სახეობით. ეს იყო, ოფიციალური ფრანგებით რომ ვთქვათ, ყველაზე უფრო თვალსაჩინო აგატიცია-პრობანდა. ქუჩებში, რამდენიმე მო-

დიოდნენ კოლონები, ყოველ ნაბიჯზე ქათქათადა აფრიალებდნენ მასივის ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბ „დილას“ გამგეობის არჩევნებისადმი მიძღვნილი სპორტული დონისძიებაში და მასობრივი ზეიმი... სახლებზე გაკრული იყო წითელი ლოზუნგები: „დიდის მასივის მცხოვრებნი, ჩაბილი ფიზიკურ კულტურასა და სპორტში, გააკეთეთ სტეკული“.

კოლონებს მსვლელობის გზაზე, მარჯვნივ და მარცხნივ, ხედობოდათ სხვადასხვა ზომის ფეხბურთისა და ფრეხბურთის მარტვი მოედნები, მაგრამ ისინი მათგან არ უხევედნენ. ისინი მიდიოდნენ წინ — ცენტრალური სპორტული მოედნისკენ, რომელიც სახეობდა იყო მორთული, სადაც გრიალებდა მუსიკა და გაჩნდნენ მარჯვნივ და მარცხნივ აივნებზე ფეხბურთის სივრცე და სივრცე ზღვა ხალხი აღევნებდა თვალს კოლონების შემოსვლას, სადაღვრი მწკრივს, კომანდორის პატაკს აქ სტუმრად და დამხმარედ მოსული მარტული, რესპუბლიკისა და სპარ-



ლაქო სპორტკავშირების ხელმძღვანელებისადმი... შემდეგ კი დაიწყო... დაიწყო და გვიან დამთავრდა: მასობრივი გეზბუნე; ამანათობენ; ევლოკოსი; „დილის“ თასების გათამაშება ფეხბურთში მოსწავლეთა შორის, შემდეგ კი მოზარდობა შორის; თასის გათამაშება ფრეხბურთში; ფიზკულტურის ინსტიტუტისა და „დილის“ (ნაჭრები) ფეხბურთელთა აშხაბადური შეხვედრა; საჭადრაკო „პატალიობა“; კლუბის გამგეობის არჩევნები; ცეკვები, სტრატეგორი, შაშხალეები, გაჩიობა-თამაშობანი; სპორტული ფილმის დემონსტრირება.

თიანებული და რამდენიმე სექცია მოქმედებს. მაგრამ ეს მხოლოდ მისი არსებობის პირველი დღესაა... გაივლის დღენი, გაივლის წლები და „დილი“ მოიცავს ახალ მასშტაბებს. „დილი“ ფრთხილად გაშლის და მაშინ მისი წევრებმა ათასობით დაითვლება. გამოავლდება სექციები, გამოავლდება სპორტული ბაზები, ყველა ასაკის აღმზარდები დაიწყებენ ჯანმრთელობის, ფიზიკური გაკეთების და სხვადასხვა ამ ცხოველყოფილ წყაროს.

და მაშინ, გვერს, აღარავის აღარ ექნება დიდის მასივში მოწყვნილი სახე და თვალები.

შ. ვალაჟორია

სურათზე: დიდის მასივის ფიზკულტურულ-სპორტსმენთა ასპარეზობის ველორბოლთა და ფრეხბურთში. ფოტო მ. ზარგარიანისა.

ჩვენს ლაპარაკობენ ბარსელონაში

ბარსელონა, 16 ივნისი. (საქდესის. სპეც. კორ. ა. სტაროდუბი). ჯერ კიდევ ვადა პარიზისკენ, ვაზეთ „ფრანს სუარში“ წავიკითხეთ: „მთელი ბარსელონა მხოლოდ იმაზე ღიადობდა, რომ ოთხშაბათს, 17 ივნისს, პირველად უკანასკნელი 25 წლის მანძილზე, ამ ქალაქის სტადიონზე სსრ კავშირ-დანის ხაფხუბურთო მატჩის დანის აღმართება საბჭოთა დროსა“. ბარსელონის აეროდრომზე დამხვდურებმა დადასტურეს, რომ ეს ნამდვილად ასეა.

გვიამბეს, რომ ადგილობრივი გავითეობა არაფერს წერდნენ საბჭოთა ფეხბურთელების ბარსელონაში ჩასვლის დღეზე, თუმცა ჩვენი მეტოქეების — დანიელების უკველი ნაბიჯი დაწვრილებით იყო აღწერილი. აქვე ვიტყვით, რომ ბარსელონაში გარკვეულ აფიშებზე ან სულ არაა ნახვარფინალის და შემდეგ ადგილობრივების მებრძოლი გუნდების დასახელება, ან ქალიან წვრილი შრიფტითაა აწერილი.

ჩვენი გუნდი თვით ქალაქში არ გაჩერეს — მოათავსეს საკურორტო ადგილ კასტელდეფელსში, ბარსელონიდან 20 კილომეტრის დაშორებით, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ოტელ „რანსოში“.

სასტუმროსთან საღამოს დიდი ავტობუსი მოსრიალდა და ჩვენი ფეხბურთელები კინოში წავიდნენ, უკანასკნელ სეანსზე — 23 საათზე. ეს რეჟისის დარღვევა არ გეგონათ! მწვრთნელები ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ მატჩი დანიელებთან ადგილობრივი დროით 22 საათსა და 30 წუთზე (მოსკოვის დროით — პირველის ნახევარზე) დაიწვიან და სურთ ფეხბურთელები გვიანი თამაშისთვის მოამზადონ. დანიელებიც ეგუებოდნენ გარემოს. ჩასვლის დღეს, 14 ივნისს, ისინი შუადღის 3 საათამდე სეირნობდნენ სხვადასხვა გასართობ ადგილებში.

კინოთეატრთან ჩვენს ფეხბურთელებს ალყა შემოარტყეს ბარსელონელებმა. დიღმა და პატარამ იაშინის დანახვაზე (მისმა დიდებამ

აქამდეც მოაღწია) ისინი ცდილობდნენ რამდენიმე მეგობრული სიტყვა ეთქვათ, თხოვდნენ ავტოგრაფებს. „შუეთის“ სხვა ფეხბურთელებსაც, გვიამბეს, რომ ბარსელონის ერთ-ერთი ფაბრიკის მუშებმა რუსულად ისწავლეს „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, საბჭოთა სპორტსმენებო“ და სურთ ეს სიტყვები ერთხმად დაიძახონ მატჩის წინ.

ბარსელონაში ცხელა და მზუთვარებაა. უზარმაზარი თერმომეტრი კატალონიის შოედანზე საღამოს 20 გრადუსს უჩვენებდა.

16 ივნისს 20 საათზე კატალონიის ფეხბურთის ფედერაცია მიღებას აწყობს საბჭოთა და დანიის დელეგაციათა პატივსაცემად. ამის შემდეგ ჩვენი ფეხბურთელები გაემგზავრებიან ვარჯიშზე — მისინჯვენ ელექტრონიტ განათებულ ბარსელონის სტადიონს. აქ იბრძობლებენ ისინი თაისის ფინალში საგზურისთვის.

ბუნაშ-პირამი


ნაკრებს, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა რიო-დე-ჟანეიროს საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირში, მთავრებამ ოფიციალური მადლობა გამოუცხადა. ნაკრების წევრები კარისო, სიმეონე, დელგადო, ვიეტისი, ვარაჟა, რატინი, ონეგა, რენდო, პროსპერი, როსასა და მესიანო დააიკლოეს. სხვაგვარი რეაქცია გამოიწვია ტურნირის შედეგმა ბრაზილიაში. სპეციალისტთა უმეტესობის აზრით, ნაკრები სწორად არ იყო დაკომპლექტებული (ნაკრებში გა. მოლიოლენ: ჟილმარი, კარლოსი, ბრიტო, ჟოელი, რილიო, დასი, გერსონი, ჟულინიო, გეა, პელი და რინალდო).

სტოკოლმი. საბჭოთა ავტოსპორტსმენებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ შვედიაში გამართულ რალიში „შუადღის მზე“, ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს. ჩვენს სპორტსმენებს გაუწერეს მხოლოდ შვედისა და იტალიის გუნდებმა.

ბოკო. იაპონიის მოქიდავეთა ასოციაციის განცხადებით, ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შეყვანილი არიან: ხანახარა, იშოგუტი, ოშიმა, სიეჟი, კახამა, ჰიამა, ნაკურა, საკურამა. მაგრამ ეს არ არის საბოლოო სია. შესაძლოა შემადგენლობამ ცვლილება განიცადოს.

იტალია. ქალაქ კასალეო-დ-რენოში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი სასტენდო სეროლაში. საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობა წარუმატებელი გამოდგა: ვაუთა გუნდი პირველ ხუთეულშიც კი ვერ მოხვდა, ხოლო გუნდის წევრთა შორის უძლიერესმა — პ. სენიჩევმა XVI-XVIII ადგილები გაიყო. ჩემპიონი გახდა იტალიელი ე. მატარელი. ქალთა ასპარეზობაში გაიმარჯვა ფრანგმა ვ. სტეფანმა. მესამე ადგილზეა ვ. გერასინა (სსრ კავშირი).

ბარსელონა. აქ დამთავრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რიო ემერსონი (ავსტრალია) და მანუელ სანტანა (ესპანეთი). გაიმარჯვა ავსტრალიელმა — 2:6, 7:5, 6:3, 6:3.



სურათზე: ზურგზე ცურვაში ქაბუთა შორის საქართველოს რეკორდსმენმა ზ. შილაკაძემ სტატი აიღო.

იპონელ მოცურავეთა „ოქროს იმედები“

იპონელმა მოცურავეებმა შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს 1932 და 1936 წლების ოლიმპიურ თამაშებში, შემდეგ მათ წამყვანი პოზიციები დაუთმეს აშშ-სა და ავსტრალიის სპორტსმენებს. ამჟამად ამოავალი მზის ქვეყნის საწყობის ბილიკების ისტაბლს მელბურის ოქროს წვიმის ოქლი აქვთ ტოქიოში. — წერს ავსტრიული გაზეთი „ფოლკს-შტიმე“. და უნდა ითქვას, რომ იაპონელ მოცურავეთა იმედები უსაფუძვლო არაა.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ მწვრთნელებმა და სპეციალისტებმა შეარჩიეს 79 საუკეთესო მოცურავე — ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები. მათთვის გამოცხადდა ერთ-ერთი საწვრთნელი შეკრება.

ეს მზადება, — განაცხადებს გაზეთი, — მიმდინარეობს სრულიად საიდუმლოდ. იაპონელი მწვრთნელები

დეშლოდ. იაპონელ მცენერ-მუშაკთა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ამ ქვეყნის მოცურავეები როგორც წინათ, ისე სიბალღით საკრძობლად ჩამორჩებიან თავიანთ კონკურენტებს, საზღვარგარეთელი სპორტსმენები საშუალოდ 12 სანტიმეტრით უფრო მაღლები არიან, იაპონელი მწვრთნელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ეს ნაკლოვანებები სხვა საშუალებებით შეავსონ. ყველა 79 კანდიდატისთვის დასმულია საგაღმდეგო ამოცანა: სპეციალური დიეტა მთელი წლის განმავლობაში და ასევე ინტენსიური ვარჯიშები.

რაც შეეხება დიეტას, ამას ვერაფერს ამბობენ იაპონელი მწვრთნელები. იაპონელი სპეციალისტები

1,500 მეტრზე. ამასთან, არ უნდა დაგვიწყობთ, რომ იგი ჩინებული სპორტსმენი და შეუძლია უკანასკნელ მომენტში შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება.

იაპონელი სპეციალისტები იმედებს ამყარებენ აგრეთვე ბრასისტებზე — მამუ-მოტოსა და ნაკასიმაცე. ეს სპორტსმენებიც „უმისუნებენ“ ოლიმპიურ მედლებს. ქალბავშვების სათავეშია მსოფლიო რეკორდსმენი სატოკო ტანაკა. უკვე სამი წელია იგი სტაბილურად აღწევს საუკეთესო შედეგებს ზურგზე ცურვაში 100 და 200-მეტრის დისტანციებზე.

გვეგონა, რომ ჩვენი „უხუცესი“ მოცურავე უძლიერესი იქნება, — ამბობენ იაპონელი მწვრთნელები.

იამანაკას გადაწყვეტილი აქვს გამოვიდეს თავის საყვარელ დისტანციაზე —



სპორტი, რეკლამა და... ფანტაზია

„გამოიგონეთ კიდევ რაიმე!“ — ასეთია დასავლეთის თანამედროვე რეკლამის დევიზი. შემკვეთს რომ ასაიმოგონონ, რეკლამის საქმისთვის ტენის იქცევა... ფეხბურთში საფრანგეთის თაისის ფინალის შემდეგ სპორტული გაზეთის „ეკიპის“ ფურცლებზე გამოჩნდა საბატოი ჯილდოს მფლობელთა ორი ფოტოსურათი დიდი სათაურით: „ლიონი“ — თასზე გამორეკებული. შემდეგ: ვარჯიშობს... და თამაშობს... თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ გაზეთს უნდა მკითხველებს აცნობოს თუ როგორ ვარჯიშობს და თამაშობს ამ ქვეყნის უმძლიერესი გუნდი, სრულებითაც არაა გამარჯვებული სურათები. დაჭირდა რეკლამის ისტაბლს, რათა მკითხველებისთვის გაეცნოთ, რომ „ლიონის“ ფეხბურთელები ვარჯიშობენ და გამოდიან:

ტელსპორტის ფირმის მისურებით (ხეტუფსა და კომპანიის ფირმის პროდუქტია); ხმარობენ ბერგოსტარის ბურთებს (ბერგოსის ფირმის პროდუქტია); თამაშობენ მებერ ნოვლების ფირმის კონა-რეზისტის ბურთებით; სოლდანის ფირმის კოდად წოდებული ტრუსებით; ვარჯიშობენ კოსტუმებით „ტოკიოს ოლიმპიადის“, რომელიც ეკუთვნის ტრევეას ფირმას. ბოროტი ზმები ამტკიცებენ, რომ მებერ ნოვლებმა და ბატონმა სოლდანმა თავიანთი ბურთები და ტრუსები მონათლეს უჩვეულო საბატოი — „დაუმარცხებელი“. აი, კიდევ სარეკლამო ფანტაზიის მარგალიტი.

ამას წინათ ესპანეთის ერთ-ერთი უფროსი დაიბეჭდა სახელგანთქმული ფეხბურთელის და სტეფანოს სურათი. ტანის ზედა ნაწილი ეკუთვნოდა ღი სტეფანოს, ქვედა ნაწილი

ლი კი ვილაც ქალს. რომელიც რეკლამას უყვებოდა მოდურ წიბებს. კარიატურა? მეგობრული შარტი? არავითარი! სურათს თან ახლდა ფეხბურთელის განცხადება, რომელიც ქებას ასხამდა ამ წინდების ხარისხს.

რამდენიმე ხნის შემდეგ სხვა უფროსი დაიბეჭდა ფოტოგრაფია, რომელზეც ასახული იყო ღი სტეფანოს მეუღლის... ფეხები. ტექსტი, რომელიც ახლდა სურათს, დაახლოებით ასეთი იყო: „ჩვენს სახელგანთქმულ ფეხბურთელს შეუძლია დაამტკიცოს ყველაფერი, რაც მოესურვება. მაგრამ მის მეუღლეს მოწონს სულ სხვა ფორმის წინდები“. შემდეგ მოდიოდა ჩვეულებრივი სარეკლამო ბოდვა.

საინტერესო ის არის, რომ ეს ამბავი ცოლ-ქმარს არ წყენია. მათ მეტოქე ფორმებისაგან ალბათ დიდი თანხა მიიღეს და განვაშს დემილი არჩიეს.

„რეიშნი“ — მერკე ლიგაში

ჩვენ უკვე ვთქვამდებით, რომ საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატში „სენტ-ეტიენმა“, რომლის შემადგენლობაში განსაკუთრებით გამოირჩევიან ნახევარმცველი ერბენსი და ალფრის ნაკრების მოთამაშე მეკლუფი, პირველი ადგილი მოიპოვა.

დებულების თანახმად, უკანასკნელი ადგილებზე გამოსული 2 გუნდი მეორე ლიგაში გადადის, ხოლო კიდევ ორმა გუნდმა უნდა ითამაშოს დამატებითი მატჩები მეორე ლიგაში III-IV ადგილებზე გამოსულ კოლექტივებთან უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლების შესანარჩუნებლად.

წელს საფრანგეთის ჩემპიონატში, მართლაც, ყველაფერი თავდაყირა დადგა. პირველი ლიგა უნდა დატოვონ ამ ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონებმა „სტად დე რეიშმა“ და „ნიკამა“, „რეიშნი“, რომლის შემადგენლობაში დღემდე თამაშობენ განთქმული ფეხბურთელები კომა, პიასტონი და ვენსანი, მთელი ჩემპიონატის მანძილზე აუტსაიდერთა რიგებში იყო. საქმეს არ უშველა ცნობილი მწვრთნელის ა. ბატოს შეცვლა. „სტად დე

რეიშმა“, რომელიც ომის შემდგომ პერიოდში საფრანგეთში ყველაზე უფრო პოპულარული გუნდი იყო და ორჯერ მონაწილეობდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თაის ფინალში, სრული კრახი განიცადა საფრანგეთის წლებანდელი პირველობის „ჰათურაკება“. მთელი დამთავრდა. სატურნირის ცხრილში XV-XVI ადგილები დაკავეს პარიზის ცნობილი კლუბებმა „სტად-ფრანსმა“ და „რეიშმა“ (სულ ჩემპიონატში 18 გუნდი მონაწილეობდა). ამგვარად, პარიზის ორივე კლუბმა დამატებითი მატჩები უნდა ჩაატაროს პირველი ლიგაში თამაშის უფლების შესანარჩუნებლად.

რედაქტორი მ. პაპაზაძე.

გაიძარკა ბობაქონ გუნდმა

საბარძნეთის ჩემპიონი ფეხბურთში გახდა „პანათენაიკოსი“ (მწვრთნელი — ცნობილი იუგოსლაველი ფეხბურთელი ბობაქი), რომელსაც გათამაშებაში არც ერთი მატჩი არ წაუგია.

პ. პრეზივანს წარუმატებელი

დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის საკლარაკო ჩემპიონატი ქალთა შორის, რომელშიც 18 ოსტატი და პირველთაშორისი მონაწილეობდა.

ბრძოლა პირველი ადგილისთვის მთელი შეჯიბრების მანძილზე მიმდინარეობდა მხოლოდ ორ მონაწილეს — გამოცდილ ოსტატ ერეტოვასა და ახალგაზრდა პირველთაშორის მალიბეტროვას შორის. ფინალში კ. ერეტოვამ ჩამოიტოვა ბობაქი და 15 ქულით I ადგილი დაიკავა. მალიბეტროვა 1 ქულით ჩამორჩა მას.

საქართველოს მსოფლიო მსაჯულთა კონგრესი

ტრადიციის მიხედვით, დანიაში ყოველ ახალ წელს აქვეყნებენ საუკეთესო სპორტსმენთა სიას. შარშანდელ კონგრესში სრული გამარჯვება მოიპოვეს ფეხბურთელებმა. წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულია ოლე მანდენი, მეორე ადგილზე მცველი ჯ. მანდენი, მესამეზე — მეკარე ე. სოერენსენი, მეექვსეზე — თავდასხმელი პ. ნილსენი, მეცხრეზე —

ბ. პანსენი, მეათეზე — კ. ფროსტი.

პაროლდ ნილსენი რომის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული იყო. შემდგომ იგი გადავიდა პროფესიონალებში და ახლა თამაშობს იტალიის ჩემპიონის — „ბოლონიას“ შემადგენლობაში. პ. ნილსენი საუკეთესო სხაიპერია იტალიის ჩემპიონატში — 21 გოლი. მის გარდა იტალიის „ატლანტაში“ თამაშობს დანიელი ფეხბურთელი ფლემინგ ნილსენი.

ორი თვის წინ შოტლანდიის კლუბი „მორტონი“ თამაშობდა „ლანარკ-სთან“. აფიშა მსხვილი ასოებით აუწყებდა „მეყურებლებს, რომ „მორტონის“ კარს დაიკავდა „მისტერ იქსი“. გუნდის მწვრთნელმა პ. სტურადმა მხოლოდ მატჩის წინ გახსნა ინკონიტო: ეს იყო დანიის ნაკრების მეკარე ერიკ სოერენსენი, რომელიც „მორტონში“ გადავიდა კონტრაქტის ძალით. გაზეთებმა „დელი ექსპრესმა“ და „დელი მეილიმ“ მაღალი შეფასება

მამობს დანიელი ფეხბურთელი ფლემინგ ნილსენი.

მისცეს სოერენსენის თამაშს.

დანიელთა მწვრთნელი პ. პედერსენი ოპტიმისტურად უყურებს თავის გუნდს. აი, მისი სიტყვები: „თუ ნილსენი და სოერენსენი ვერ შეძლებენ ესპანეთში წამოსვლას, ჩვენ გვეყვება მათი ღირსეული შემცვლებები“.

დანიური გაზეთი „აქტუელიტი“ მოუწოდებს თავის ნაკრებს: „შესაძლებელია, დანია ვეღარასოდეს შეძლოს ასეთი წარმატების გამოვლილება. ეს კი ნიშნავს, რომ ამ შესანიშნავი შანსის ხელიდან გაშვება ყოველად შეუძლებელია“.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშების სათავეს — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.